ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4390681

ნომერი: AR1663189

თარიღი : 21.02.2019

გაცემის თარიღი : 26.02.2019

გაცნობის თარიღი : 27.02.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ზურაბ პატარიძის ქუჩა N5;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ამირან ბეგიაშვილი პ/ნ 01012019532
- ვაზისუბნის დასახლებაკორ26 ბინ19

ორგანიზაცია:

- ხიმინჯი2012 კოდი: 406082260

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 1945351
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 10.06.2015

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების

წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

1.ექსპლუატაციაზე უარის დოკუმენტის რეკვიზიტები -> .უარის ან სამშენებლო დარღვევის ცნობის დოკუმენტის pdf ფაილი:

•დასრულდეს ყველა სამუშაო.
•შეთანხმებულთან მიმართებაში მნიშვნელოვნად გაუარესებულია ვიზუალი, შესაბამისად მოიყვანეთ აღნიშნული შეთანხმებულ პროექტთან შესაბამისობაში.
•წარმოდგენილ იქნეს ყველა გეგმის ანაზომი დამოწმებული მუნიციპალური ინსპექციის მიერ, გაითვალისწინეთ პირველ რიგში დაცულ იქნეს დადგენილი ნორმები და სტანდარტები, ნებისმიერი დარღვევა რომელიც არღვევს ქალაქმშენებლობით მოთხოვნებს და დადგენილ სტანდარტებს არ იქნება მსიაღები.
•გამწოვი მილები, აგრეგატები და დანადგარები მოწყობილ იქნეს პროექტის შესაბამისად.
•უარის თქმის დოკუმენტში ჩასწორდეს ღერძების დასახელებები.
•მოეწყოს ლიფტი -6,00 და -3,00 ნიშნულებზე.
•ყველა დასრულებელი სამუშოები ამოღებულ იქნეს უარის თქმის დოკუმენტიდან.
•წარმოდგენილ იქნეს კონსტრუქციული დასკვნა დარღვევით მშენებლობაზე.

2.არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.:
წარმოადგინეთ სურათები ერთიანი ხედებით სრულად ყველა კუთხიდან (დათარიღებული)

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.